საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-12/2899
15/03/2019

2899-2-12-2-201903151728

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრს,
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

როგორც მოგეხსენებათ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ დაგეგმილია „საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის კმ 132-კმ135 მონაკვეთზე გვირაბის შემოსავლელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების და მის მიმდებარედ მდინარის კალაპოტის ფორმირების სამუშაოების“ პროექტის განხორციელება, რომელიც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2018 წლის 8 ნოემბერს გაცემული სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ N2-902 ბრძანების თანახმად ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მოთხოვნების შესრულების მიზნით მომზადდა სკოპინგის ანგარიში, რომლის საჯარო განხილვა გაიმართა 2019 წლის 11 თებერვალს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში.

აქვე აღსანიშნავია, რომ პროექტის მნიშვნელობა განპირობებულია ტერიტორიის გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე. საავტომობილო გზის 134-ე კმ–ზე მდებარეობს დევდორაკის ხეობა, რომელიც ხასიათდება ღვარცოფული ჩამონატანებით, რაც იწვევს გზის მონაკვეთზე სატრანსპორტო მოძრაობის ჩაკეტვას. ბოლო 20 წლის განმავლობაში კლიმატის ცვლილებამ მნიშვნელოვნად გაახშირა ხსენებულ მონაკვეთზე ღვარცოფული ჩამონატანები, მათ შორის:

- 2007 წლის აგვისტოს ღვარცოფის შემდეგ, საავტომობილო გზა დაიკეტა 2 თვით;
- 2014 წლის მაისი–ივნისის თვეში განვითარებული დიდი ღვარცოფის შედეგად საავტომობილო გზა დაიკეტა 1 თვე. 40 ერთეულ მძიმე ტექნიკაზე მეტი მუშაობდა 1 კმ საავტომობილო გზის მონაკვეთის გასაწმენდად.
- 2014 წლის აგვისტოს ღვარცოფის შედეგად ს/გზა დაიკეტა 10 დღით.
- 2016 წლის ივნისში ღვარცოფი ისევ განმეორდა და გზა ისევ ჩაიკეტა 14 დღით, ხოლო დაზიანებული სავტომობილო გზის მონაკვეთის სიგრძე შეადგენდა დაახლოებით 800მ-ს.

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge

მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალთან ერთად ადგილი ჰქონდა ლეტალურ შემთხვევებსაც. აღნიშნულის გათვალისწინებით საქართველოს მთავრობამ მიიღო ამ მონაკვეთზე 1200 მ სიგრძის საავტომობილო გვირაბის მშენებლობის გადაწყვეტილება. აღნიშნულ პროექტზე - „მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ132-კმ135 მონაკვეთზე ალტერნატიული მიმართულების (გზაგამტარი გვირაბის აგება) გაყვანა"-ზე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ, 2017 წლის 3 მაისს გაცემულია დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №30.

მიმდინარე პროექტის დასრულების შემდგომ სატრანსპორტო ნაკადები გადაერთვება ახალ გვირაბში და ცალსახად გაუმჯობესდება გზის საპროექტო მონაკვეთზე მოძრაობის უსაფრთხოების პირობები. მეორეს მხრივ საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის ასეთ სენსიტიურ მონაკვეთზე ალტერნატიული (შემოვლითი) მარშრუტის არსებობა აუცილებლობას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე მიღებული იქნა გადაწყვეტილება მშენებარე გვირაბის შემოვლით მარშრუტზე, მდ. თერგის გასწვრივ 1,2 კმ სიგრძის მონაკვეთზე განხორციელდეს არსებული საავტომობილო გზის რეაბილიტაცია, მის პარალელურად შესრულდეს მდ. თერგის კალაპოტის ფორმირების სამუშაოები და მოეწყოს ნაპირდამცავი ნაგებობა. პროექტის განხორციელება ერთის მხრივ კიდევ უფრო გააუმჯობესებს აღნიშნულ მონაკვეთზე სატრანსპორტო ნაკადების მოძრაობის პირობებს (გვირაბთან ერთად ექსპლუატაციის შემთხვევაში), შეამცირებს, მდ. დევდორაკზე განვითარებული კატასტროფული მოვლენების დროს, აქ არსებული ინფრასტრუქტურის დაზიანების და მგზავრების უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რისკებს.

დაგეგმილი საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად კომპონენტს წარმოადგენს კალაპოტის ფორმირება და ნაპირდამცავი კონსტრუქციების მოწყობა:

- **კალაპოტის ფორმირება** ძირითადად ითვალისწინებს მდ. დევდორაკზე ბოლო წლებში მომხდარი ღვარცოფული მოვლენებით დამდგარი შედეგის (დევდორაკის შერთვის სიახლოვეს მდ. თერგის კალაპოტში დიდი რაოდენობით დაგროვილი ნატანი; კალაპოტის დეფორმირება, რაც კიდევ უფრო ზრდის ღვარცოფის თანმდევი ნეგატიური პროცესების განმეორების საშიშროებას - მაგ. კალაპოტის ბლოკირება და შეგუბების წარმოქმნა) სალიკვიდაციო სამუშაოებს. სამუშაოების მიზანია გაუმჯობესდეს მდინარე თერგის კალაპოტის პარამეტრები და წყლის ნაკადს მიეცეს შედარებით დაუბრკოლებლად მოძრაობის საშუალება. კალაპოტის ფორმირების სამუშაოების შესრულების პროცესში ასევე გათვალისწინებული იქნება საპროექტო კვეთში მდ. თერგის მაქსიმალური ხარჯები და წყლის მაქსიმალური დონეები.
- **ხელოვნური ნაგებობების, მათ შორის ნაპირდამცავი კონსტრუქციების მოწყობა** - დაგეგმილი საქმიანობის ერთერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია მდ. თერგის კალაპოტსა და არსებულ (სარეაბილიტაციო) გზას შორის, ლარსი ჰესის სათავე ნაგებობის ზედა დინებაში ნაპირდამცავი ნაგებობის მოწყობა. აღნიშნული ნაგებობა უზრუნველყოფს მარჯვენა ნაპირზე არსებული, მშენებარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული ობიექტების (ლარსი ჰესის სათავე, მშენებარე გვირაბის ჩრდ. პორტალი და მასთან მისასვლელი გზა, სარეაბილიტაციო გზის მონაკვეთი, ელექტროგადამცემი ხაზები და სხვ.) დაცვას ხეობაში მოსალოდნელი ღვარცოფისგან. ნაპირდამცავი ნაგებობა დაპროექტებულია მოსალოდნელი მაქსიმალური ხარჯების გათვალისწინებით.

პროექტის ძირითად მიზანს წარმოადგენს მოსალოდნელი ფორსმაჟორულის სიტუაციების თავიდან აცილებას, ვინაიდან მყინვარ დევდორაკის არსებულ მდგომარეობაში (უკანდახევის სტადია, დანაწევრება, უდიდესი რაოდენობით ნაზვავი, აკუმულირებული და მორენული მასალის

კონცენტრაცია, მდ. ამალი-დევდორაკის ტრანზიტის ზონაში არსებული დიდი რაოდენობით მყარი ნატანი და ა.შ.) სტიქიური მოვლენების (ღვარცოფი, წყალმოვარდნა) განვითარება, პროგნოზს არ ექვემდებარება და მოსალოდნელია ნებისმიერ დროს. აღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა, დროის უმოკლეს ვადებში, განხორციელდეს შესაბამისი ღონისძიებები და დაიწყოს გვირაბის შემოვლითი გზის და მდინარის კალაპოტის ფორმირების სამუშაოები, რომელიც წარმოადგენს გვირაბის აუცილებელ ინფრასტრუქტურას, რათა, მდინარის უხვი ნაკადის შედეგად, ასევე არ მოხდეს გზის ვაკისის ეროზია და არ დაიტბოროს გვირაბთან მისასვლელი გზა.

პროექტის სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობა შეადგენს 5 თვეს, ხოლო მშენებლობის დაწყების თარიღად განსაზღვრულია აპრილის თვე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ გვიშუამდგომლოთ საქართველოს მთავრობასთან და აღნიშნული პროექტი, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-16 მუხლის შესაბამისად, გაათავისუფლოთ გარემოზე ზემოქმედების შეფასებისგან.

დანართი: პროექტის GIS კოორდინატები (shp ფაილები).

პატივისცემით:

ირაკლი ქარსელაძე

დეპარტამენტის თავმჯდომარე.